სამაგიდო თამაშების კლუბი

ზოგადი აღწერა

შპს ამერიკულ უმაღლეს საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ ,,პროგრესში“, ინოვაციური და არაფორმალური განათლების სამსახურის ფარგლებში, ფუნქციონირებს სამაგიდო თამაშების კლუბი. იგი განკუთვნილია ერთი ასაკობრივი კატეგორიისათვის: VII-XII კლასის მოსწავლეებისათვის.

კლუბის საქმიანობას წარმართავს კლუბის ხელმძღვანელი არაფორმალური განათლების სამსახურის მენეჯერთან თანამშრომლობით.

კლუბის შეხვედრები, იმართება კვირაში ერთხელ, გარდა არდადეგების პერიოდისა. ჩემპიონატებისა და სხვადასხვა პროექტისათვის მომზადების დროს კი - საჭიროებისამებრ. კლუბის წევრობა ნებაყოფლობითია.

მიზნები:

კლუბის მიზანია მოსწავლეებში ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარება, სწორი მსჯელობისა და ანალიზის უნარის ჩამოყალიბება. სტრატეგიების შედგენა და განხორციელება.
კლუბის წევრები ივითარებენ შემდეგ უნარებს:

- ✓ ანალიტიკური აზროვნება
- ✓ კრიტიკული აზროვნება
- ✓ მსჯელობის უნარი
- ✓ სტრატეგიული დაგეგმარებისა და სწორად გათვლის უნარი
- ✓ გუნდური მუშაობა
- ✓ დროის მართვა
- ✓ ეფექტური, ხელსაყრელი გადაწყვეტლების სწრაფად მიღება

კლუბის წევრი მოსწავლეები სწავლობენ შემდეგ საკითხებს:

სამაგიდო თამაშების კლუბის ფარგლებში მოსწავლეები შეისწავლიან როგორ დაგეგმონ სწორად სტრატეგია თამაშისას და როგორ გადაწყვიტონ რთული ქეისები.

სხვადასხვა თამაშის სპეციფიკის გაცნობისა და სტრატეგიის განვითარების შემდეგ, ისინი გუნდურად თამაშობენ სააზროვნო თამაშებს.

კლუბის ფარგლებში, მონაწილეები გეგმავენ და ახორციელებენ კონკურსს სამაგიდო თამაშებში.